მათხოვარი

(მონი- პიესა)

(დრამა ერთ მოქმედებად)

პიესის ავტორი-ეკატერინე კვირკელია

მოქმედი პირნი

მეზღაპრე*- (მსახიობი,მხატვარი, მეცნიერ- გამომგონებელი)*

მასოვკა- შესაძლებელია, როგორც დამხმარე მთავარი გმირისა

სურათი 1

ცარიელი სივცე, სანაგვე ყუთი. ირგვლივ გაზეთის ნახევები და ბევრი ფურცელი ყრია, დაჭმუჭნული სასმელის ქილები. დრო არ არის განსაზღვრული. შესაძლებელია იყოს აფსტრაქტული, ნეიტრალური. ადგილი- ზოგადი, ყველგან.
(მოსჩანს ბინდში ერთი კაცის სილუეტი, გაურკვეველი, მხოლოდ თვალი აღიქვამს, რომ ვიღაც დადის.)

მეზღაპრე*- (დადის საქმიანად, ხან იქით ეძებს რაღაცას, ხან აქეთ. ჩერდება,*

იყურება, ათვალიერებს, ეძებს თითქოს რაღაცას.)

- სიბნელეა...(პაუზა)...დედა,რა სიბნელეა...თავი მგონია სამარეში. (პაუზა)...იქნებ მართლა მკვდარი ვარ უკვე და მხოლოსდ მეჩვენება, რომ აქ ვარ, ვაზროვნებ, დავდივარ, ვსუნთქავ და ზოგჯერ ვჭამ ხოლმე, თუ რამე შემხვდა შესაჭმელი?..სიბნელეა...(პაუზა. ცოტახანში ყვირილით)-მიშველეთთთთთ!!!!(პაუზა.მერე ჩუმად)- მიშველეთთთთთ!!!...არავინ არის აქ?(პასუხს არავინ სცემს, მერე უფრო ხმადაბლა)-არავინ არის აქ, ხალხო?

(გამოჩნდება ხალხი, სილუეტები, ლანდები დადიან, გეგონება მიცვალებულები არიანო.)

- თქვენ ვინ ხართ?(ხალხი ყურადღებას არ აქცევს)-ეს რა გაქვთ? რა მოგივიდათ? საით მიდიხართ? არ დამტოვოთ!!!!

(უცებ ქვრება შუქი)

მეზღაპრე- *მიშველეთთთთთ!!! რა ხდება, ხალხო?რატომ არის ასეთი უკუნი?*

(მკვეთრი შუქი. მეზღაპრე ხელებს იფარებს სახეზე.შუქს ემალება)

- ვაიმეეე!!(პაუზა. უეცრად მოვა გონს, ხელებს ჩამოიღებს სახიდან.

დაბლა ზის)-ეს მე ვარ?(ხელებს უყურებს, ფეხებს)-ცოცხალი ვარ? სად ვარ?(გაიხედავს დარბაზში)- ოჰ, მაპატიეთ.(პაუზა.დგება, იბერტყება, ცდილობს თავი ფორმაში მოიყვანოს.სამოსს ისწორებს)-მოგესალმებით!(პაუზა.პასუხს ელოდება)-გამარჯობათ-მეთქი!!!(ისევ პაუზა)-არა, ვიცი მე სადაც ვცხოვრობ და ვისთან მიწევს ურთიერთობა, მაგრამ, სალამი ხომ ღვთისაა?(ირონიით)

- თუმცა, ეხლა, დღეს არავის უნდა და ახსოვს ღმერთი, არც ადამიანი.(პაუზა)-ეს ხალხი ვინ იყო?(ისევ პასუხს ელოდება)-კარგი, მე ვიტყვი. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც დღეს აღარავის ახსოვს და არც აინტერესებს, ოდესღაც კი სწორედ ეს ადამიანები ქმნიდნენ ისტორიას.ხომ, ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას.(იცინის ირონიულად)-ვიცი,ვიცი, დღეს ხელოვნება და კულტურა არავის

უნდა. ყველა ესეთი განათლებული და ყოვლისმცოდნენი ვართ.
(პაუზა)-მე, მაგალიტად, მეზღაპრე ვარ.იცით ვინ არის მეზღაპრე?
კარგი სიტყვაა,ადვილად ცხოვრობს კაცი ზღაპრებში, ოცნედბებ-
ში, მოგონებებში, წარმოსახვაში, ფანტაზიაში...უფ, ძალიან მაგა-
რია.(საუბრობს სწრაფად, შეუსვენებლად)

- *ზღაპარიყო,ზღაპარიყო,*
ოცნებაში გამქრალიყო,
მოგონების წამი ერთი,
წარმოსახვით დამდგარიყო,
იყო ერთი ფანტაზია
დიდი სული, სავსე ხელი.
ხვავი ჰქონდა, წარმატებაც,
მაგრამ მოკვდა ყველაფერი.
ჯერ იყო და ხორცი მოკვდა,
მერე სულში ჩასახული
ერთი დიდი ეჭვი ჰქონდა.
მერე თითქოს ჩადგა ქარი,
ფოთლებმაც კი მოისვენა.
იყო წამი, აღმაფრება
იყო ხალხი, აღტაცება,
მერე გაქრა ყველაფერი.
ჩაბნელდა და ჩაიმალა...
ახლა ვინ ვარ, იცით განა?!
მარტო ძონძი, მარტოკანა...
აღმაფრენა, დაღმა-ფრენა
ზღაპარმაც კი ჩაიფრინა...
გაქრა, გაქრა ყველაფერი...

(ჩნდება ლანდი. ისმის ხმა)

სურათი 2

ნათდება,არეზე არავინაა. მხოლოდ ერთი ქალი დადის ძონძებში, ხელში ჯოხი უჭირავს და რაღაცას ეძებს სანაგვეში.

მეზღაპრე-

მხატვარი- არაფერია, კიდევ არაფერი, ასე შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი. ფურცელი მაინც მაპოვნინა სადმე. მომენატრა, ძალიან მომე - ნატრა...

ეს ჩემი სანაგვეა იცოდეთ, მე უკვე აქ ვარ და მიბრძანდით აქედან.
არაფერს წაგართმევთ? (მაყურებელს)
რა უნდა წამართვათ, რაც არ მაქვს.

მე ყველაფერი მქონდა, ყველაფერი, მაგრამ წამართვეს, და-მინგრიეს. მომსპეს და გარეთ გადამაგდეს, როგორც ნატიფარი ძაღლი.(პაუზა)-იცით, ერთი კარგი რამ მოხდა იმის მერე ჩემს ცხოვრებაში. (ეცინება)- შეიძლება ასეთ ყოფაში კარგი რამ იყოს? გეყოფათ სიცილი. ეს მნიშვნელოვანია.(პაუზა)-მე ყველას ნამ-დვილი სახე დავინახე. იცით, როგორი რთულია ადამიანი უნიღ-
ბოდ დაინახო?უსუსური, მახინჯი,მლიქვნელი, გათახსირებუ-ლი..არც ერთი ლამაზი და კეთილი არ არის, გეგონება, ადამიანის
მოდგმას სიკეთის კვალი აქვს დაკარგული....გავჩანაგდით ადა-მიანთა ჯიში. მხოლოდ ბოროტება გახდა ჩვენი მამოძრავებე-ლი...შემაზარებელია მათი სიფათები, გაუმაძღარი ღორები!!! (თითქმის ყვირილში გადადის).-მე უფრო ბედნიერი ვარ დღეს, იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს დავინახე, მაგრამ მე თავად და-ვიმალე. მე ასეთი ვარ და უფრო ადვილიაცხოვრება.,,ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!''- გახსოვთ?(პაუზა)- მე სახლიც კი აღარ მაქვს.ყველაფერი წამართვეს ამ ღორებმა, ყველაფე-რიიიი!!!! მეტროში ჩავდივარ ზოგჯერ, როცა ძალიან შემცივდება, კაფეს წინ დავდგები, როდესაც ძალიან მომშივდება, მაგრამ ჩე-მით არავის ვთხოვ ფულს. მხოლოდ ფურცლებს ვითხოვ ხოლმე და ფანქარს ზოგჯერ. დავჯდები ჩემთვის და ვხატავ, ეს არის

ჩემი

”პური არსობისა”.-(პაუზა.იცინის)-ამიტომ ყველას გიჟი ვგონი-ვარ. ამის მაგივრად კი ხან რას გადმომიგდებენ და ხან რას...(ამოისუნთქავს ნაღვლიანად).

(პაუზა)

- ვის რა ჯანდაბად უნდივართ ნეტა?დამდევს, თორემ რამე არ წამართვას და არ წაიღოს თან.

კი, გვაქვს.

ხომ ხედავთ? ამასაც ჰგონია, რომ ყველა ხელოვანი უვიცია-(ნაღვლიანად)- საწყენია, რომ ცვენ ქვეყანაში ნამდვილი ხელოვნება დაუფასებელია და გათელილი.

- მიყვარს კლასიკა, მიყვარს რემბრანდტი, მიქელანჯელო, პიკასო... არაჩვეულებრივი ფერებია...

ჩამოფრინდით, ბატონებო, მიწაზე, თქვენ ჯოჯოხეთში ხართ.

- ვიცი.(პაუზა)- მაცალეთ ოცნება.

მაღიზიანებს ამის ხმა. სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის, ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე.

(ქვრება შუქი)

სურათი 3

მეზღაპრე - *ვაიმე, დავბრმავდი, ვერაფერს ველარ ვხედავ. მიშველეთ !!!! დაწყნარდით, დაღამდა. არა, ჩვენთვის დაღამდა.*

(კუთხეში დაინახავსმ ვიღაც გიტარით ზის და უკრავს)

მეზღაპრე- *კი, მახსოვს- (პაუზა)-(ყვირილით)-მაგრამ, ვის რა ჯანდაბად უნდა ეხლა ეს?რას მომშტერებიხართ?იცოდით?მიხვდით? მოკვდა ყველაფერი, ჩვენც მკვდრები ვართ დიდი ხანია.აი, აქ, ეხლა მე კი არ ვდგავარ.ეს მხოლოდ ჩემი ნაადამიანევია, ვითომ*

სულიერი, ვითომ კაცი,
რომელსაც სულიც კი თავისი აღარ აქვს!!! ვის რაში ვედარდე-
ბით?ახლავე სული რომ გამძვრეს არავინ იდარდებს ჩემზე,

აღარც კი გავახსენდებით. ვის რად ვუნდივართ ან მე, ან თქვენ,
ან აი ეს კაცი, რომელიც ასე ნაღვლიანად მღერის?!!!

სურათი 4

მეზღაპრე

მსახიობი- *ეს მე, ეს შენ, ეს დედას, ეს მამას, ენკი ბენკი, გარეთ ცივა, არ შეგ-*
ცივდეს. მერე მე ვარ სულელი, რომ ვერ შევძელი შენი შენარ-
ჩუნება. ორი, ხუთი, მერე კიდევ ყვავილები, ბევრი ვარდები მა-
ჩუქეს. ლამაზი იყო, თვალწარმტაცი და განუმეორებელი...-ფურ-
შეტიც გადამიხადეს ოვაციებით და ბისებით...ვალსი- ერთ, ორ,
სამ, ერთ, ორ, სამ...დამაგვიანდა...დამაგვიანდა სულ ხუთი წუთი

დავაგვიანე, ველარ მიუსწარი...მერე სიბნელე, სინაცისფრე, მიწა,
კუბო, სამარე და მეც მოვრჩი, გავნადგურდი, ერთ, ორ, სამ წამ-
ში...ყველაფერი დაბნელდა...მერე თითქოს წამოვდექი, შევძელი,
მაგრამ აღარავის გავახსენდი...გამრიყეს, ფარდა ჩამოუშვეს, დარ-
ბაზი დაცარიელდა...მარტო დავრჩი...იქით იყო, აქეთაც იყო, ქუ-
ჩა იყო, ვერავინ მიცნო-(პაუზა)- თქვენც ვერ მიცანით? ეს მე ვარ,
მეეეე!!!-(დახედავს თავის სამოსს და შერცხვება, შეტრიალდება)
-(იწყებს მონოლოგს)
-..მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ, მაგრამ არ შემიძლია ვარიარო

სახალხოდ, ყველგან, მოვწყდე ოჯახს და შენტან ერთად მივეგო

სასჯელს, თუ კი მეკუთვნის...თუ კი გვეკუთვნის, სასჯელი თა-

ვის ფეხით მოვა ჩვენთან.....(აქ ჯდება ოთარ ჭილაძის
სინათლის წელიწადი)

(ისმის ტაში. უკრავენ მხატვარი, მეზღაპრე და ეშმაკი)

სურათი 5

მეზღაპრე *-ადრე ყველაფერს დაფასება ჰქონდა. მაშინ ლამაზე, ახალგაზრდები და სასურველები ვიყავით...ეს ქალბატონიც, ეს მანდილოსანიც, ეს მწერალიც, ესეც, ესეც, და მეც...- მაშინ..მაშინ..*

-მაშინ, მაშინ...შენ ეხლა თქვი, თორემ მაშინ რაც იყო ყველამ ვიცით, ან და უბრალოდ არ გვინდა, რომ გავიხსენოთ.მაშინ მეც ცოტა უმცროსი, თავქარიანი და მიმდობი ვიყავი-(იცინის)-

მეზღაპრე

გამომგონებელი*- ბატონებო და ქალბატონებო! კეთილი ინებეთ, მომაქციეთ ყურადღება, მიაქციეთ ყურადღება მშიერ და უქონელ მეცნიერს. სამი დღეა არ მიჭამია, სახლი აღარ მაქვს,კარი აღარ მაქვს!!10 წელი ვმუშაობდი და შემცირებაში მომაყოლეს, კინაღამ დამიჭირეს, უბედური და მიუსაფარი. ჩემი ღვაწლი არავის ახსოვს, განათლება არავის აინტერესებს. დამეხმარეთ, მომეშველეთ.*

-გაკმაროთ?!რა უნდა გაკმაროთ?ის ხომ არა, რომ სამყარო ნასახლარს დაამსგავსეთ?სულ თქვენისთანა უნიათო ადამიანების ბრალია ყველაფერი.

- ერთმანეთის ქიშპი, ერთმანეთის დაბეზღება, ღორობა, გაუმაძღრობა, მლიქვნელობა, შური და მამაძაღლობაა თქვენი ქვეყანა. თქვენი დაუ-

დევრობით დაინგრა ყველაფერი. მეც ამიტომ ვარ აქ.

- დაემხეთ და განადგურდით!!!

(ბნელდება. მხოლოდ წითელი შუქი მოსჩანს ალაგ- ალაგ)

სურათი 6

ისმის განწირული სიცილის ხმა

მეზღაპრე-

- შუქი წითელი, შუქი შავი,შუქი ლურჯი...წითელი, შავი, ლურჯი,

ფერთა გამა,სანატრელი ფურცელი და ერთი ფანქარი, მხოლოდ ერთი მაინც...ცხოვრება ფერადი იყო ოდესღაც, ვარდისფერიც, ოდესღაც იისფერიც...გულწრფელი და ნამდვილი. ის მართალია,

შეხედეთ, შეხედეთ სინათლე გამოჩნდება

მალე...ნათელი დაისადგურებს სულში, ყველაფერი ისევ ფერადი

გახდება...სინათლე მოსჩანს....მე მას ვხედავ და აღვიქვამ უკვე...- თქვენ ვერ ამჩნევთ?! აი აქ არის, ჩვენ გულშიც და მთელ სამყარო-შიც...არ დამიტიროთ არავინ, მე თქვენზე ბედნიერი ვარ იცო-დეთ...ძალიან ბედნიერი და მდიდარი...ნათელი გამოჩნდა...- მშვიდობით, ხალხოოოო.....

- ის მოკვდა...(პაუზა)-.არა, ის სხვა სამყარომ შთანთქა..მეც მინდა ჩემ თავს იყოს ნათელი....(პაუზა)-(მოდის აღელვებული)- გამოჩ-ნდა, იფეთქა ნათელმა, აპლოდისმენტები მინდა გავიგო უკანასკ-ნელად თქვენი, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, გახსოვდეთ მინდა, მინდა შევძლო, თავი დაგამახსოვროთ მარად...მე ის ქალი ვარ, რომელსაც თქვენ აღმერთებდით, ახლა კი საფლავიც აღარ მექნება მალე, აქვე გავქრები, წარსულში წავალ, წყვდიადი შთანთქავს ჩემ უსულო სხეულს, ლანდი გაიფანტება მარტის თოვლივით...- მიყვარს გაზაფხული, ძალიან მიყვარს...ახალი სიცოცხლის დაწ-ყების დასაწყისი...მაგრამ ველრ მოვესწრები, ველარ შევგრძნობ სურნელს....

(პაუზა)

მეზღაპრე-*(ყვირის)- გაჩუმდი, გაშეშდი და გაქრი სამუდამოდ...(უეცრად ნათდება ყველაფერი. მეზღაპრე ხედავს უსულო სხეულებს ირგვლივ. ყველასთნ მიდის, ეფერება, თვალებს უხუჭავს. დასტირის.)*

- სიბნელებ დაისადგურა ირგვლივ..ხმები დადუმდა...ოდესღაც ამ ხალხით იდგა ქვეყანა ფეხზე...იმედი წაიღო...როგორი სიბნელეა ირგვლივ...მცივა და ვერ ვთბები, ალბათ სამყარო აღარ არსებობს..აი, ეს არის ჩემი სამყარო, ჩვენი სამყარო, ჩვენი დიდება, ჩვენი...მეშინია...მეშინია, რადგან მომავალს ველარ ვხედავ,სინათლეს ველარ ვხედავ...მტკივა...აი აქ მტკივა, შიგნით, სულში, გული გახევდა,..დაბნელდა...გაქრა...გაქრა...გაქრა....-(თვალებზე იფარებს ხელებს)

- ვერაფერს ველარ ვხედავ...

მეზღაპრე გამოფხიზლდება, გამოჩნდება შუქი ნათელი, მეზღაპრე შუქს მიყვება.)

ფარდა